სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №ეტ-39/19

ქ. თბილისი

ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს ,,ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8, ფაქ. მდებარეობა: გალის რ-ნი, დას. საბერიო (საფ/მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი), შემდგომში ,,შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად ერთის მხრივ და

შპს ,,მშენსერვისი 2002", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი, ქერჩის ქ. №3, შემდგომში ,,მიმწოდებლად“ წოდებული, მისი დირექტორის - ლუდმილა გვაგვალიას სახით, რომელიც ასევე მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად მეორეს მხრივ, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის – SPA190004561 საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,სამშენებლო სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

- შპს ,,ენგურჰესის“ მიერ დას. საბერიოს წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალის და შიდა ქსელის რეაბილიტაცია.
  ხელშეკრულებას თან ერთვის ხარჯთაღრიცხვები, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 კლასიფიკატორის კოდია: 45231111;

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 169825 (ასსამოცდაცხრა ათას რვაასოცდახუთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.

3.3 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში;

3.4 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

3.5 გაუთვალისწინებელი თანხების ათვისების პირობების დადგომის შემთხვევაში მხარეები აფორმებენ დამატებით შეთანხმებას შესაბამის დოკუმენტებთან ერთად (დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების სადეფექტო აქტი, სამუშაოთა მოცულობა და ხარჯთაღრიცხვა).

4. სამუშაოს შესრულების ადგილი, ვადები და პირობები

4.1 სამუშაოების შესრულების ადგილია: აფხაზეთი, გალის რ-ნი, დას. საბერიო.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადაა: 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.
4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს სამუშაოები შეასრულოს განსაზღვრულ ვადაზე ადრე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მიღება ხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი.
5.2 შესრულებულ სამუშაოებზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი დგება ტენდერის პირობებით გათვალისწინებული მოცულობის სრულად შესრულების შემდეგ, რომელსაც ასევე ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი.
5.3 მიმწოდებელმა როგორც ეტაპობრივ, ასევე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაურთოს ფარული სამუშაოების აქტები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად უნდა წარმოადგინოს საბოლოო ფორმა N2.
5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა-ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირებია:
შპს ,,ენგურჰესის" ტექნიკური დირექტორი - გ. ხუბუა, ჯგუფის ხელმძღვანელი;
შპს ,,ენგურჰესის" რემონტების მენეჯერი - ი.შონია;
შპს ,,ენგურჰესის" სტგ-ს ინჟინერი - რ. ჯანჯღავა;
შპს ,,ენგურჰესის" კომუნალური განყოფილების უფროსი - ს. კვირკველია;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
- მკაცრად დაიცვას სამუშაოს დამთავრების სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
- მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;
- სამუშაო შეასრულოს საკუთარი მასალებით, სამუშაო იარაღებითა და სამარჯვებით.
- ,,მიმწოდებლის" მხრიდან პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოახსენოს "შემსყიდველის" წარმომადგენელს, ჯგუფის უფროსს ან მისი არყოფნის პერიოდში ნებისმიერ წევრს სამუშაოს შესრულებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.
6.2 "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
- უზრუნველყოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი პრობლემების გონივრულ ვადაში გადაწყვეტა.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ დროულად აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" შესრულებული სამუშაოს საფასური.
6.3 სამუშაოს დაწყებამდე მხარეები იძლევიან წერილობით ინფორმაციას მათი მხრიდან სამუშაოს წარმოებასა ("მიმწოდებელი") და ზედამხედველობაზე ("შემსყიდველი") პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
7.2 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ინპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
შპს ,,ენგურჰესის" ტექნიკური დირექტორი - გ. ხუბუა, ჯგუფის ხელმძღვანელი;
შპს ,,ენგურჰესის" რემონტების მენეჯერი - ი.შონია;
შპს ,,ენგურჰესის" სტგ-ს ინჟინერი - რ. ჯანჯღავა;
შპს ,,ენგურჰესის" კომუნალური განყოფილების უფროსი - ს. კვირკველია;

8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადაა 3 წელი, დაზიანების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან რეაგირება 24 საათის განმავლობაში, აღდგენა: დაზიანების სირთულიდან გამომდინარე გონივრულ ვადებში მიმწოდებლის მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

8.2 საგარანტიო პერიოდი არ ეხება ფორსმაჟორული და მექანიკური ზემოქმედებით მომხდარ დაზიანებებს.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.
9.5 შემსყიდველი უფლებამოსილია შესასრულებელი სამუშაოების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
9.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.02 პროცენტის ოდენობით.
9.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

10.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.
10.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.
10.3. ფასთა ცვლილება განიხილება სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მაგრამ არა უმეტეს სახელშეკრულებო თანხის 10%-ისა.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო კვალიფიციური ელექტრონული ხელისმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის განთავსების დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 10 მარტის ჩათვლით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს "ენგურჰესი"
ს/კ 251716371
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.
ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8
სს ,,ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“
ბ/კ UGEBGE22
ა/ა GE97VT6600000003403403

"მიმწოდებელი"
შპს ,, მშენსერვისი 2002“
ს/კ 200076210
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი,
გლდანი, ქერჩის ქ. №3
სს ,,თიბისი ბანკი“
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE40TB7413036050100001

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

Levan Mebonia
Подписано цифровой подписью: Levan Mebonia
Дата: 2019.11.07 21:34:44 +04'00'

ლ. მებონია

დირექტორი

ლ. გვაგვალია

Ludmila Gvagvalia
Подписано цифровой подписью: Ludmila Gvagvalia
Дата: 2019.11.07 13:25:04 +04'00'

Vakhtang Molashkhia
Digitally signed by Vakhtang Molashkhia
Date: 2019.11.07 12:03:36 +04'00'

Medea Korsantia
Подписано цифровой подписью: Medea Korsantia
Дата: 2019.11.07 12:09:49 +04'00'

დას. საბერიოს წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვა

№	ნორმატივის ნომერი და შიფრი	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)						
						ხელფასი		მასალები		ტრანსპორტი		ჯამი
				ნორმატივით ერთეულზე	სპეციალური მონაცემებით	ერთეულზე	სულ	ერთეულზე	სულ	ერთეულზე	სულ	
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*	*11*	*12*	*13*
1	1-115-1	ტერიტორიის გაწმენდა ქვა-ღორღისგან და ხე-ბუჩქებისგან (გატანა 2 კმ-ში)	10მ^3		33,00							
	სრფ. 13-8	ტრაქტორი მუხლუხა 1.54+0.18*20	მნქ/სთ	5,14	169,62					30	5088,60	5088,60
		სხვა მანქანები 0.37+0.05*20	ლარი	1,37	45,21					3,2	144,67	144,67
2	1-18-2	წყალმომარაგების ქსელის მოწყობის ადგილზე მიწის ამოღება 1.0X0.6X1000 (ამოღების პროცესში არსებულის ქსელის დემონტაჟი) მილების ჩადების შემდეგ უკუჩაყრა	1000მ^3		0,60							
		შრომითი დანახარჯი	კ-სთ	1740	1044,00	4,5	4698,00					4698,00
	სრფ. 13-129	ექსკავატორი 1 მ^3	მანქ/სთ	15,78	9,47					23,00	217,76	217,76
3	46-23-2	წყალმომარაგების ქსელის მოწყობის ადგილზე ბეტონის საფარის დემონტაჟი	მ^3		14,40							
		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	13,2	190,08	4,0	760,32					760,32
		სხვა მანქანები	ლარი	9,63	138,67					3,2	443,75	443,75
4	22-8-6	ლითონის მილების დ-273 მმ. მოწყობა ქვიშის საფენზე	1 კმ.		1,00							
		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	625	625,00	4,0	2500,00					2500,00
	სრფ. 13-106	შედუღების აპარატი გადასატანი დიზელის ძრავზე	ლარი	348	348,00					15	5220,00	5220,00
	სრფ. 2.1-72	ლითონის მილი დ-273 სისქით 6 მმ.	გრძ.მ	1010	1010,00			83,00	83 830,00			83830,00
	საბაზრო	ქვიშა 0-3	მ^3		95,00			24,00	2 280,00			2280,00
		სხვა მასალა	ლარი	104	104,00					3,2	332,80	332,80
5	22-27-6	ლითონის მილის არსებულ ქსელში შეჭრა	1 ც		1,00							
		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	4,28	4,28	4,5	19,26					19,26
		სხვა მანქანები	ლარი	1,56	1,56					3,2	4,99	4,99
	სრფ. 6-443	ფოლადის მუხლი დ-273X7	ც.	1	1,00			128,00	128,00			128,00
		სხვა მასალა	ლარი	1,27	1,27					3,2	4,06	4,06
6	15-164-8	ლითონის მილების შეღებვა ბიტუმის მასტიკით ორჯერ	100მ^2		7,85							

		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	68	533,80	3,0	1601,40					1601,40
		სხვა მანქანები	ლარი	0,03	0,24					3,2	0,75	0,75
	სრფ. 4.2-549	ბიტუმის მასტიკა	კგ.	30	235,50			1,00	235,50			235,50
		სხვა მასალა	ლარი	0,19	1,49					3,2	4,77	4,77
7	**16-14-5**	**ურდულის მოწყობა დ-250 მმ.**	**ც.**		**1,00**							
		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	7,8	7,80	4,5	35,10					35,10
		სხვა მანქანები	ლარი	0,75	0,75					3,20	2,40	2,40
	სრფ. 6.1-350	თუჯის ურდული დ-250 PN16	ც.		1,00			1485,77	1485,77			1485,77
		სხვა მასალა	ლარი	0,94	0,94					3,20	3,01	3,01
8	**22-21-7**	**მილების გამორეცხვა**	**100 გრძ.მ**		**10,00**							
		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	40,2	402,00	3,6	1447,20					1447,20
9	**16-22-1**	**მილების ჰიდრავლიკური შემოწმება**	**100 გრძ.მ**		**10,00**							
		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	5,16	51,60	2,1	108,36					108,36
		სხვა მასალა	ლარი	0005	50,00					3,20	160,00	160,00
პირდაპირი ხარჯების ჯამი							**11169,64**		**87959,27**		**11627,58**	**110756,49**
სატრანსპორტო ხარჯები შიდა გადაზიდვებზე მასალიდან						**5,0%**			**4397,96**			4397,96
ჯამი												**115154,45**
ზედნადები ხარჯები						**6,0%**						6909,27
ჯამი												**122063,72**
გეგმიური დაგროვება						**6,0%**						7323,82
ჯამი												**129387,54**
გაუთვალისწინებელი ხარჯები						**3,0%**						3881,63
ჯამი												**133269,17**
დ.ღ.გ.						**18,0%**						23988,45
სულ ჯამი												**157257,62**

შპს ,,მშენსერვისი 2002"-ის დირექტორი **ლუდმილა გვაგვალია**

Ludmila Gvagvalia

Подписано цифровой подписью: Ludmila Gvagvalia
Дата: 2019.11.07 13:26:27 +04'00'

დას. საბერიოს წყალმომარაგების შიდა ქსელის რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვა

№	ნორმატივის ნომერი და შიფრი	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)						
				ნორმატივით ერთეულზე	სპეციალური მონაცემებით	ხელფასი		მასალები		ტრანსპორტი		ჯამი
						ერთეული	სულ	ერთეული	სულ	ერთეული	სულ	
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*	*11*	*12*	*13*
1	1-18-2	**წყალმომარაგების ქსელის მოწყობის ადგილზე მიწის ამოღება 0.5X0.4X400 (ამოღების პროცესში არსებულის ქსელის დემონტაჟი) მილების ჩადების შემდეგ უკუჩაყრა**	**1000მ^3**		**0,08**							
		შრომითი დანახარჯი	კ-სთ	1740	139,200	6,0	835,20					835,20
	სრფ. 13-129	ექსკავატორი 0.25 მ^3	მანქ/სთ	15,78	1,262					23,61	29,81	29,81
2	22-5-1	**ლითონის მილების დ-50 მმ. მოწყობა ქვიშის საფენზე**	**1 კმ.**		**0,25**							
		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	318	79,50	4,6	365,70					365,70
	სრფ. 14-106	შედუღების აპარატი გადასატანი დიზელის ძრავზე	ლარი	22,3	5,58					16,9	94,22	94,22
	სრფ. 2.1-24	ლითონის მილი დ-50 სისქით 3 მმ.	გრძ.მ	1010	252,50			6,20	1 565,50			1565,50
	სრფ. 4.1-227	ქვიშა 0-3	მ^3		17,00			28,00	476,00			476,00
		სხვა მასალა	ლარი	54,8	13,7					3,2	43,84	43,84
3	22-5-3	**ლითონის მილების დ-100 მმ. მოწყობა ქვიშის საფენზე**	**1 კმ.**		**0,15**							
		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	353	52,95	4,6	243,57					243,57
	სრფ. 14-106	შედუღების აპარატი გადასატანი დიზელის ძრავზე	ლარი	35,1	5,27					16,9	88,98	88,98
	სრფ. 2.1-41	ლითონის მილი დ-100 სისქით 4 მმ.	გრძ.მ	1010	151,5			20,30	3 075,45			3075,45
	სრფ. 4.1-227	ქვიშა 0-3	მ^3		10,00			28,00	280,00			280,00
		სხვა მასალა	ლარი	59,3	8,9					3,2	28,46	28,46
4	16-14-5	**ფასონური ნაწილების მოწყობა**	**ც.**		**5,00**							
		შრომითი დანახარჯი	კც/სთ	7,8	39	6,0	234,00					234,00
		სხვა მანქანები	ლარი	0,75	3,75					3,20	12,00	12,00
	საბაზრო	მუხლი დ-100	ც.		1,00			29,00	29,00			29,00
	სრფ. 6.1-340	ურდული დ-50 PN16	ც.		2,00			155,90	311,80			311,80
	სრფ. 6.1-343	ურდული დ-100 PN16	ც.		2,00			282,20	564,40			564,40
		სხვა მასალა	ლარი	0,94	4,70					3,20	15,04	15,04
5	1-81-3	**გრუნტის უკუჩაყრა**	**100მ^3**		**0,63**							
		შრომითი დანახარჯი	კ-სთ	121	76,23	7,8	594,59					594,59
პირდაპირი ხარჯების ჯამი							**2273,06**		**6302,15**		**312,35**	**8887,56**
სატრანსპორტო ხარჯები შიდა გადაზიდვებზე მასალიდან						**5,0%**			**315,11**			315,11

ჯამი								**9202,67**
ზედნადები ხარჯები		**6,0%**						552,16
ჯამი								**9754,83**
გეგმიური დაგროვება		**6,0%**						585,29
ჯამი								**10340,12**
გაუთვალისწინებელი ხარჯები		**3,0%**						310,20
ჯამი								**10650,32**
დ.ღ.გ.		**18,0%**						1917,06
სულ ჯამი								**12567,38**

შპს ,,მშენსერვისი 2002"-ის დირექტორი ლუდმილა გვაგვალია

Ludmila Gvagvalia

Подписано цифровой подписью: Ludmila Gvagvalia
Дата: 2019.11.07 13:27:00 +04'00'